**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს**
**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**მოსამართლე -- -- მიმართ**
**დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე**

**16 ივლისი, 2018 წელი** **ქ. თბილისი**

**დისციპლინური საქმე №219/17**

-- -- 2017 წლის 5 დეკემბრის №- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 30 აპრილის №219/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:**

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ -- -- და -- -- სამოქალაქო საქმეზე 2017 წლის 20 ოქტომბერს დაინიშნა სასამართლო სხდომა. ამავე დღეს -- -- მიერ შეტანილ იქნა შეგებებული სარჩელი, საქმის ფარგლებში განსახილველ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით. მოსამართლემ გამოაცხადა შესვენება, განიხილა შეგებებული სარჩელი და უარი განუცხადა მხარეს მის განსახილველად მიღებაზე, რამაც შელახა მისი უფლებები. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მან წარმომადგენელთან რწმუნებულება გააფორმა 2017 წლის 18 ოქტომბრამდე, სხდომა გაიმართა 2017 წლის 20 ოქტომბერს, წარმომადგენელს სურდა მარწმუნებლის ნახვა, რაზეც მოსამართლემ უარი განუცხადა და მხოლოდ 10 წუთი მისცა მოსამზადებელი სხდომიდან მთავარ სხდომაში გადაზრდამდე, რათა ტელეფონის საშუალებით შეხმიანებოდა და გაერკვია დეტალები. ასევე, სასამართლო სხდომაზე როდესაც მოსარჩელემ არარეალური თანხა დაასახელა, მოსამართლემ

მხარეს მოსთხოვა ხელი მოეწერა ამ პირობაზე, მოპასუხის უარის შემდეგ მყისიერად გადაზარდა მოსამზადებელი სხდომა მთავარ სხდომაში. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ არ მისცა მხარეებს შესაძლებლობა, საქმე დაესრულებინათ მორიგებით.

**2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

2017 წლის 8 სექტემბერს, -- -- სარჩელით მიმართა -- რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით.

მოსამართლე -- -- სარჩელი მიიღო განსახილველად.

მოპასუხე -- -- სასამართლოში შესაგებელი წარადგინა 2017 წლის 22 სექტემბერს, მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2017 წლის 20 ოქტომბერს.

2017 წლის 20 ოქტომბერს მოპასუხემ წარადგინა შეგებებული სარჩელი, ასევე იშუამდგომლა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების თაობაზე.

2017 წლის 20 ოქტომბრის საოქმო განჩინებით, მოპასუხე -- -- უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის განსახილველად მიღებაზე და შესაბამისად განუხილველი დარჩა შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების თაობაზე.

საქმის მოსამზადებელი სხდომა გადაიზარდა მთავარ სხდომაში, 2017 წლის 20 ოქტომბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით კი -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხე -- -- უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილი იქნა -- -- საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე -- -- და მოსარჩელეს გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში დაუბრუნდა.

2017 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით, ხოლო განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა -- --.

ამ დროისათვის -- სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს.

**3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^1$ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს თუ - სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არსებობს მოსარჩელის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი გადახდის გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების საფუძველი. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 193-ე მუხლის თანახმად, განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტს ამ სარჩელის განმხილველი სასამართლო განცხადების შეტანიდან ერთი დღის ვადაში, მოპასუხისთვის შეუტყობინებლად. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენება იმიტომ, რომ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოხდეს სასამართლო გადაწყვეტილების ეფექტური აღსრულება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სარჩელი, რომლის უზრუნველყოფაც უნდა მოხდეს, არ იქნება მიღებული განსახილველად, სასამართლო შუამდგომლობას დატოვებს განუხილველად.

მოსამართლე -- --, 2017 წლის 20 ოქტომბრის განჩინების (შეგებებულ სარჩელზე უარის თქმის შესახებ, ასევე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობის განუხილველად დატოვების შესახებ) მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში და შეგებებული სარჩელის მიღება/არ მიღების საკითხის შეფასება მის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა. გადაწყვეტილების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას

წარმოადგენს. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- მხრიდან ადგილი არ ქონია დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს.

საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- --, მხარეებს არ მისცა საშუალება და დრო მორიგებისათვის. საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლე არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა მხარეთა შორის მორიგების მიზნით მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მხარეთა შორის ვერ მიიღწევა მორიგება, მიიღოს არსებითი გადაწყვეტილება. ამასთან მხარეთა მორიგებისათვის და მორიგების პირობების განსაზღვრისათვის მოსამართლის მიერ უნდა მოხდეს გონივრული ვადის განსაზღვრა, ბუნებრივია ეს არ უნდა გახდეს საქმის განხილვის უსაფუძვლოდ გაჭიანურების მიზეზი.

ზემოთ მითითებული გარემოების გამოკვლევის მიზნით, მოხდა სხდომის ოქმის გამოთხოვა და მათი დეტალური შესწავლა. 2017 წლის 20 ოქტომბრის სხდომის ოქმის მოსმენის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსამართლე -- -- ცდილობდა მხარეთა შორის დავის მორიგებით დასრულებას. მოსამართლე ცდილობდა გარკვეულიყო მხარეთა მიერ განსაზღვრულ მორიგების პირობებში, რათა დაემტკიცებინა იგი. მხარემ, დეტალების დაზუსტების მიზნით, მოსამართლეს სთხოვა 5 წუთით შესვენების გამოცხადება, მოსამართლემ გამოაცხადა 10 წუთიანი შესვენება. გამომდინარე იქიდან, რომ მხარეთა შორის ვერ მოხდა მორიგების პირობებზე შეთანხმება, მოსამართლემ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში მიიღო გადაწყვეტილება. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსამართლე მოქმედებდა კანონით გათვალისწინებული ნორმების დაცვით და მისი ქმედება არ შეიცავს დისციპლინურ გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

**4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი

გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75[12] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

დისციპლინურ საქმეზე №219/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**გიორგი მიქაუტაძე**

**საქართველოს იუსტიციის**
**უმაღლესი საბჭოს მდივანი**